

## ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

### საქართველოს პალეოლიტის ლეგალუაზრი ინდუსტრიაზი

მეოთხეულ პერიოდში საქართველოს ტერიტორია მეტად ინტენსიურად იყო ათვისებული პირველყოფილი ადამიანების მიერ, რაც განპირობებული იყო კავკასიის ამ რეგიონში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების არსებობით. კლიმატური პირობები, ლანდშაფტის მრავალფეროვნება, ფლორისა და ფაუნის სიმდიდრე, ბუნებრივი თავშესაფრებისა (მდგმელები, ექები, ფარდულები) და ნედლეულის საბადოების სიუხვე პირველყოდ ადამიანს ამ რეგიონში იზიდავდა. საქართველოში დღემდე დადგენილ სადგომთა (400-ზე მეტი) უმრავლესობა სტრატიგრაფიას მოკლებულია, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილის დოკალიზება და ხასიათის გარკვევა მაინც შესაძლებელია. ქვედა და შეუა პალეოლიტის ხანის (იმ პერიოდების, რომელთათვისაც დამახასიათებელია ლევალუას ტექნიკა) 30-მდე ძეგლი სტრატიფიცირებულია; შესაბამისად, მეტნაკლებად შესაძლებელია მათი რაობის გარკვევა და მათგან შედარებით სრული ინფორმაციის მიღება.

საქართველოს შეუა პალეოლიტში დღეისათვის დადგენილია რამდენიმე ლოკალურ-კულტურული ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისაგან ქვის როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავებით განსხვავდებიან. წინამდებარე ნაშრომში ჩვენს კონკრეტულ ინტერესს წარმოადგენს ჯრუჭულაკუდაროს და ცხინვალის შეუა პალეოლიტური ლოკალურ-კულტურული ჯგუფები, აგრეთვე, აშელისა და შეუა პალეოლიტის გვოქის ზემო იმერეთის რეგიონის დია ტიპის პალეოლიტური სადგომები (იდ. I), რომელთათვისაც დამახასიათებელია ქვის ლევალუაური ტექნიკით დამუშავება (ორბალი I, IV; სარბები, საქორია-კაუნარი, ბერნარი, კაჟები).

ლევალუაური ტექნიკა უკვე აშელის ეპოქაში ჩნდება, მაგრამ თავისი განვითარებისა და გავრცელების პიქს შეუა პალეოლიტურ (მუსტიები) პერიოდში აღწევს. იგი ზედა პალეოლიტში თითქმის აღარ გვხვდება.


ლევალუაური ტექნიკა, როგორც ქვის დამუშავების ერთ-ერთი მეთოდი, პირველად დაადგინა გაძრიელ დე მორტილიუმ მე-19 ს-ის ბოლოს.<sup>1</sup> ამ ტექნიკის კლასიკური განსაზღვრება შეიმუშავა

ფრანსუა ბორდმა: „ეს არის წინასწარ განსაზღვრული ფორმის ანატკეცი, რომელიც მიიღება ატკეცვამდე ნუკლეუსის სპეციალური მომზადების შემდეგ“.<sup>2</sup> ამ განსაზღვრებაში არეულობა შეიტანა შემდგომში იმ ანატკეცთა ფორმების მრავალსახეობამ, რომელიც უსადაგებოდა ამ კლასიფიკაციას. ფ. ბორდმა სცადა კლასიკური, ფართო, ოვალური ანატკეცებისაგან, რომლებიც ნუკლეუსის ცენტრისკენული დამუშავების შევეობით მზადდება, განესხვავებინა „ლევალუაური წევებანები“ და „ლევალუაური ლამელები“, რისთვისაც სპეციალური, მორფოლოგიური და მეტრული კრიტერიუმები გამოიყენა<sup>3</sup> (ტაბ.VI, სურ. 1). საქართველოს პალეოლიტური ძეგლების შესწავლისას სწორედ ეს განსაზღვრება გამოიყენებოდა.

ლევალუაური ტექნიკის ხასიათის ახლებური გაგების მცდელობა წარმოადგინა ერთ ბიოდამ.<sup>4</sup> მის მიხედვით, ლევალუაური ნუკლეუსის მომზადება ორი ძირითადი მოქმედების საშუალებით ხდება: პირველი – მზადდება დარტყმის მოედნები, რომლებიც გადაჭიმულია შერჩეული კაჭრის მთელ ან თითქმის მთელ პერიოდზე. ჩვეულებრივ, ეს ხდება მეტნაკლებად ვერტიკალური დარტყმის საშუალებით, რომელიც ნუკლეუსის ზედა სიბრტყიდან ქვედა სიბრტყისკენა მიმართული; მეორე ეტაპი – ნუკლეუსის ზედაპირზე, პერიოდზე შექმნილი დარტყმის მოედნებიდან მიყენებული დარტყმების საშუალებით ხდება სისტემატიური, თანმიმდევრობითი ატკეცვა.

ე. ბიოდამ ძირითადი სტრატეგიის ორ ჯგუფს უწოდა „ხაზოვანი“ (Lineal) და „პერიოდული“ (Reccurent) ატკეცვა<sup>5</sup> (ქართულად შესატყვისი ტერმინი არ გამოიყენებოდა, შესაძლებელია მომავალში უფრო მოქნილი ტერმინები შეირჩეს).

„ხაზოვანი“ ლევალუაური ტექნიკის გამოყენების მეშვეობით ნუკლეუსის ზედაპირიდან მიიღება ერთი ძირითადი ანატკეცი. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჯერ ხდება კაჭრის პერიოდზე დარტყმის მოედნების შექმნა, ხოლო შემდეგ მისი ზედაპირიდან აიტკიცება ერთი, წინასწარ განსაზღვრული ფორმის ნაშადი. თუ პერიოდზე სხვადასხვა წერტილიდან მიყენებული დარტყმები



### 1. საქართველოს შუა და ქვედა პალეოლიტის ძეგლების რუკა.

ბი რადიალური, ცენტრისკენ უდია, მაშინ, მიღებული ანატკეცები ოვალური ან სწორკუთხა მოყვანილობისაა. იმ შემთხვევაში თუ ატკეცვა სრულდება ნუკლეუსის ერთი ან ორივე ბოლოდან, მაშინ მიიღება წაგრძელებული ან სამკუთხა ფორმის ნამზადები (შესაბამისად, უნიპოლარული ან ბიპოლარული). ე. ბიოდა ხახს უსვამს „ხაზოვანი“ ლევალუაური ტექნიკის მოქნილობას, რის შედეგადაც მიიღება სხვადასხვა ფორმის ნამზადები<sup>6</sup> (ტაბ.I, სურ.1).

„ხაზოვანი“ ლევალუაური ტექნიკის გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ ნუკლეუსიდან მართლაც მხოლოდ ერთი ნამზადი იქნეს მიღებული. იმავე ნუკლეუსის ხელახლა მომზადების შედეგად, კ.ი. ნუკლეუსის მოსამზადებელი ციკლის ხელახლა გამეორების შემდეგ, კვლავ შესაძლებელია ახალი ნამზადის მიღება. პრაქტიკულად, ნუკლეუსიდან მიიღება „საშუალოდ, ოთხი, ან ხუთი ანატკეც-ნამზადი“<sup>7</sup>.

„პერიოდულ“, ლევალუაურ ტექნიკაში იგულისხმება პირველადი გაპობის ისეთი ტექნიკა, როდესაც ნუკლეუსის წინასწარ მომზადებული ზედაპირიდან ხდება წინასწარ განსაზღვრული ფორმისა და ზომის ნამზადების რეგულარული, სისტემატური ატკეცვა. ეს ტექნიკა უფრო კანონომიურია იმ მხრივ, რომ ნამზადების ატკეცვის შუალედში იგი ნაკლებად მოითხოვს ნუკლეუსის მოდიფიკაციასა და განახლებას<sup>8</sup>. ამ ტექნიკაში ცალკე გამოიყოფა ცენტრისკენ უდია, რადიალური დამუშავებაც. (ტაბ. I, სურ. 2; ტაბ. II, სურ. 2,3)

კ. ბიოდა ლამელებში განასხვავებს ნამზა-

დებს, რომლებიც „სპეციალური“ ტექნიკით მიიღება. ამ დროს გამოიყენება ისეთი ნუკლეუსი, რომლის ზედაპირი (ქედი) უფრო ამოზნებილია. დარტყმა ყოველთვის მიმართულია ზევიდან ქვევით, ნუკლეუსის ერთი ან ორივე ბოლოდან (უნიპოლარული, ბიპოლარული). შედეგად ყოველთვის მიიღება უფრო დიდი ზომის ლამელა, კიდრე კლასიკური დამუშავებისას. ამ შემთხვევაში, ნუკლეუსის გეგედითი კიდეები რადიალურად კი არ არის დამუშავებული, როგორც ეს ხდება კლასიკური ლამელის მომზადებისას, არამედ ნუკლეუსის თავსა და ბოლოში პერპენდიკულარულად წათლილია ორი დიდი ანატკეცი, დარტყმა კი ხდება ვერტიკალურად, ზემოდან ქვევით ნუკლეუსის თავის მაქსიმალური სიღრმიდან<sup>9</sup>. ასეთ ლამელებს შესაბამისი ბურცობი უფრო რელიეფური აქვთ, ვიდრე კლასიკური მეთოდით მიღებულებს (ტაბ. II, სურ. 4).

პალეოლიტის შესწავლისას უკვე კარგა ხანია, სხვა ნიშნებთან ერთად, ქვის გაპობის ტექნიკის ამ სახეების მიხედვით ხდება ინდუსტრიების კლასიფიკაცია და დიფერენციაცია.

ქართულ და საერთოდ, პალეოლიტმცოდნეობაში, რა თქმა უნდა, მიღებული იყო ლევალუას ტექნიკის ფ. ბორდისეული კლასიკური განსაზღვრებით ხელმძღვანელობა. ბოლო ხანებში პალეოლიტმცოდნეობაში ე. ბიოდას მიერ შემუშავებულმა დევინიციამ მყარად მოიკიდა ფეხი, რის გამოც მიგვაჩნია, რომ საქართველოს ლევალუაური ტექნიკის მატარებელი ინდუსტრიები ამის საფუძველზე ხელახლა უნდა იქნეს შესწავლილი, დადგენილ უნდა იქნეს მათი პარალელები

და საქართველოს (კავკასიის) ტერიტორიაზე მათი გავრცელების გზები და საფუძვლები.

როგორც ზემოთ აღნიშნული, ლევალუაური ტექნიკით დამზადებული ნივთები გვხვდება ჯერ კიდევ აშენებური პერიოდის ძეგლებში. პრაქტიკულად, ზედა პალეოლიტიამდე (იშვიათად, ზედა პალეოლიტის პირველ ეტაპზე). ლევალუაური ნამზადები მოიპოვება ნებისმიერი კულტურისა და სასიათის ძეგლზე. მსგავსი მდგომარეობაა საქართველოს პალეოლიტშიც. რაც შეეხება ლევალუაურ ინდუსტრიებს, ნორმალურ ლევალუაურ ინდუსტრიაში ამგვარ ნაკეთობებს 20-დან 40%-მდე უნდა ეკუთვნოდეს. თუ ლევალუას ინდექსი 20%-ზე ნაკლებია, ეს ნიშავს, რომ ლევალუაური ტექნიკა არსებობს, მაგრამ არ არის წამყვანი. თუ 5%-ზე დაბალია, ეს შემთხვევითი ხასიათის მაჩვენებელია, ხოლო თუ 40%-ზე მეტია, ეს ნიშავს, რომ ადგილი აქვს პირველყოფილი ადამიანის ან არქეოლოგის მიერ მასალის შერჩევას<sup>10</sup>.

ე.წ. „ლევალუა-მუსტიეურ“ კულტურას გაბატონებული მდგომარეობა უკავია ლევანტის პალეოლიტში. აღნიშნული მასალის ახლო გაცნობამ გვიძინება ხელახლა გადაგვეხვდა საქართველოს ზემოთ აღნიშნული ძეგლების მასალებისა და წინასწარული თარიღებისათვის და გაგვევლო მათთან პარალელები.

ლევანტის მუსტიეში გამოყოფილია შემდეგი კულტურული ჯგუფები:

1) „ტაბუნი-D ტიპი“ – ამ ჯგუფს ახასიათებს: ანატკეცები, ლამელები და წაგრძელებული წვეტანები, რომელიც ატკეცილი არიან უნიპოლარული, კონვერგენტული ნუკლეუსებიდან. ამ ნამზადებს დარტყმის მოვდნები მინიმალურად აქვთ დამუშავებული; წაგრძელებული, რეტუშირებული წვეტანები, დიდი რაოდენობით ლამელები, სახოკები და საჭრისები სჭარბობს იარაღთა დანარჩენ ტიპებს. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ბიფასები (შეიძლება შერეულია ტაბუნი - ფენიდან). ამ ტიპის ძეგლებს ეკუთვნის: ტაბუნი-D, აბუ-სიფი, საპბა, რომ ეან მორი, ნაპალ აგევი, ჯეფრ აილა, დუარას IV ფენა<sup>11</sup> (ტაბ. III).

2) „ტაბუნი-C ტიპი“ – ნამზადები უფრო ხშირად ოვალურია; ანატკეცები დიდი ზომისაა და ისინი მიღებულია „ხაზოვანი“ ლევალუაური ტექნიკით, რადიალური ატკეცვის მეშვეობით. ჯგუფში მცირე რაოდენობითაა სამკუთხა წვეტანები. ასეთი ინდუსტრია დადგენილია კაფზებში, სხულში, ნამეში და სხვ.<sup>12</sup>

3) „ტაბუნი-B ტიპი“ – ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია:

ნამზადები, ატკეცილი უნიპოლარული, ლევალუაური ნუკლეუსებიდან; მინიმალური რადიალური ატკეცვა: ფართეფუძიანი, უმქტესად მოკლე, თხელი ანატკეცები, ე.წ. „ჟანდარმის ქუდიანი“ დარტყმის მოედნებით; მცირე რაოდენობით ლამელები, რომლებიც მიღებულია „პერიოდული“ მეთოდით. ამ ინდუსტრიას ეკუთვნის: ქებარას VI-XII ფენები, ტორ-ფარაჯი, ტორ-საბიპა, ქსარ-აკილის XVIII ფენა და, შესაძლოა, დედერიქი<sup>13</sup>. (ტაბ. II, სურ.1.)



2. ჯრუჭულას მდგიმე. გეგმა.

აქვე მოვიყვანთ ზემოთ დასახელებული ჯგუფების თარიღებს, რომლებიც მიღებულია სხვადასხვა მეთოდით: 1) ტაბუნი-D-270/250000-170 000/150 000; ტაბუნი-C-170000/150000-90/85000; ტა-



2. ჯრუჭულას მდგიმე. ჭრილები.

ბუნი-В-90 000-50 000<sup>14</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი ლეგალური ინდუსტრიები, სადაც ლეგალუას ტექნიკური მაჩვენებელი 40%-ს სჭარბობს, ან 40%-თან ახლოს დგას, მხოლოდ რიონ-ყვირილას აუზშია დადგენილი (აქ ვაულისხმობთ ყვირილის სათავეებსაც, რომელიც ჯაფის რაონში მდებარეობს) და მიმდებარე, ცხინვალის რეგიონში.

აქედანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ წყალწითელას ხეობის ძეგლები (საკაუია, ორთვალა მდვიმე, ჭახათი), რომელიც ლეგალუაური ტექნიკის მატარებელ ძეგლებად მოიხსენება, დღემდე არსებული შეხედულების<sup>15</sup> საწინააღმდეგოდ ჩვენ ლეგალუაური ინდუსტრიის ძეგლებად არ მიგვაჩინია. მასალისა და არსებული პუბლიკაციების გაცნობის შედეგად ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ მდგომებებში მოპოვებული მასალის ნაწილი, კერძოდ, საკაუიასა და ორთვალა მდვიმის გარკვეული ფენები უნდა კლასიფიცირდებოდეს, როგორც არალევალუაური, ფაცეტირებული, ტიპური მუსტიკ, რომელიც გამდიდრებულია დაკბილული ელემენტებით.

საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალუა ჩანს შეა აშელიდან (?) (სამწუხაროდ, აბსოლუტური თარიღები კუდაროს გარდა, არცერთი აშელური კომპლექსიდან არ გაგვაჩინია). ეს ძეგლებია – წონა, საქორია, ზიარი და სხვ. გვიანი (სავარაუდოდ) აშელის ჰპოქიდან ლეგალუას ტექნიკა მეტად განვითარებული ჩანს ყვირილას აუზის დია სადგომებზე – ორბალი I, II, IV, პერევისა, ჯოუკეთი, სარბები, თებლოვანები და სხვ. ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნაკეთობათა დიდი ნაწილი დამზადებულია უნიპოლარული მეთოდით, საკმაოდ დიდი რაოდენობაა „სპეციალური ლამელებისა“, თუმცა ასევე მაღალი მაჩვენებელი აქვს „რადიალურ“ დამუშავებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთ დასახელებულ დია სადგომებზე აღმოჩენილი მასალის უდიდესი ნაწილი მოკლებულია მეორად დამუშავებას (რეტურებას). ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ ყველა ეს ძეგლი კაუის საბადოებზე ან მათ უშეალო სიახლოვეს მდებარეობს. წედლეულის მოპოვების პროცესის არარსებობის გამო იარაღის მეორადი დამუშავების აუცილებლობა აღარ არსებობდა. ამის გარდა, ცნობილია, რომ ფუნქციონალურად არარცუშირებული იარაღი უფრო მაღალშედეგიანი იყო, ვიდრე რეტურებული. მაგ., არარცუშირებული დანის პირი უფრო მჭრელია, ვიდრე რეტურებულისა. მეორადი დამუშავება ამ შემთხვევაში გამართლებულია და მიზანმიმართულია იმისაკენ, რომ იარაღმა უფრო დიდხანს შეინარჩუნოს სამუშაო ფუნქცია – არარცუშირებული სამუშაო ელემენტი (ამ შემთხვევაში - დანის პი-

რი) გაცილებით უფრო ბასრია, ხოლო რეტურებული უფრო დიდხანს ფუნქციონირებს. შესაბამისად, საბადოებთან არსებულ ძეგლებზე ნაკლებად გვხვდება მეორადი დამუშავების მქონე ნივთები, ვიდრე მათგან მოშორებით არსებულ მდგომებრ სადგომებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ნედლეულის საბადოებიდან დაშორებულ სადგომებზე ხშირად გვხვდება ნივთები, რომლებიც რეტურებით რამდენჯერმეა განახლებული. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, დაკავშირებული უნდა იყოს ნედლეულის მოპოვების და მათი სხვადასხვა სახით (კაჭარი, ნუკლუსი) მდვიმებრ ტრანსპორტირებასთან არსებულ სირთულეებთან.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ დია სადგომებზე დადგენილი, არარცუშირებული ფორმების ნაკლებობას გარკვეული ასხნა აქვს. მიუხედავად ამისა, ეს მასალები, გარკვეულწილად, ემსგავსება ლევანტის „ტაბუნი-С“ და, ნაწილობრივ, „ტაბუნი-В“ ჯგუფის ძეგლებსაც.

გვინდა ხაზი გაგუსვათ იმ ფაქტს, რომ სტრატიგიულის არარსებობის გამო, არ ვიცით ზემოთ აღნიშნული ძეგლების ასაკი, ამიტომ ხდება ნამზადთა მხოლოდ ტიპოლოგიური შესწავლა. ამის გარდა, ვვარაუდობთ, რომ მთელი მასალა არ არის თანადორული და სხვადასხვა ეპოქის ნამზადები ერთმანეთშია არეული. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მასალის დაცულობის, პატინის და დამუშავების ტექნიკის საფუძველზე, ვფიქრობთ, მაინც შესაძლებელია მათი მეტნაკლები დიფერენციაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეგალუაური ტექნიკა საქართველოს ტერიტორიაზე შეა აშელში ჩაისახა (როგორც ვოქვით, სამწუხაროდ, ამ დასკვნას ვაკეთებთ მხოლოდ ტიპოლოგიის საფუძველზე), რისი თვალსაჩინო ნიმუშებიც გვაქს როგორც ზემოთ დასახელებულ ძეგლებზე, ასევე სტრატიფიცირებულ წონას მდვიმეში, სადაც უდავოდ აშელურ ნივთებთან ერთად (ხელცულები, კლიკერები და სხვ.) გვხვდება ლეგალუაური ნივთები, მართალია, თითო-ოროლა, მაგრამ თუნდაც მათი არსებობა ადასტურებს უკვე ამ ეპოქაში ლეგალუას იდენტის არსებობას. ამის გარდა, აღნიშნულ ძეგლებზე უკვე მრავლად მოიპოვება ლამელები, რომელთა დიდი ნაწილი უნიპოლარული მეთოდით არის მიღებული. იმის დადგენას, ლეგალუაური და ლამელერული ტექნიკის იდენტიკეთი ჩასახული თუ იმპორტირებულია, ადრეული და შეა აშელის ტექნიკოლოგიის უფრო დეტალური კვლევა, შესაბამისი ასაკის ძეგლების დათარიღება და მათი მეზობელი რეგიონების ძეგლებთან შედარება სჭირდება.

ლეგალუა თავისი განვითარების პიკს შეა პა-

ლეოლიტის ხანაში აღწევს. ასეთ ძეგლებად საქართველოში გვევლინება ჯრუჭულას მდვიმე, კუდარო I, III-ის და წონას მდვიმის შეუ პალეოლიტური ფენები, ხვირათის დია სადგომი, სამგლე კლდის, ასევე ჭიათურის რაიონის დია სადგომები – კაუნარი, ბენარი, ბენარის თავი, ურნალი და სხვ. შვალიეთის მასალები, აგრეთვე, ცხინვალის ჯგუფის ძეგლები: ყარყუხტაკაუ, თამარაშენი და სხვ.


განვიხილავთ რამდენიმე ძეგლს. თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჯრუჭულას მდვიმე. იგი მდებარეობს ჭიათურის რ-ის სოფ. ქვემო ზოდის ტერიტორიაზე, მდ. ჯრუჭულას (მდ. კვირილის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, მდ-ის დონიდან 35 მ, ხოლო ზღვის დონიდან 600 მ-ის სიმაღლეზე.

მდვიმის შესასვლელი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. იგი კარგადაა განათებული და შრალია. მდვიმის სიგანე შესასვლელში 8,8 მ-ია, ცენტრალურ ნაწილში – 11,2 მ, სიმაღლე 5,5 მ-ია, სიღრმე-17,5 მ. ფართობი – 127 კვ.მ.-ია.

მდვიმე აღმოჩენილია 1957 წელს აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, კვირილის აუზის პალეოლიტური ექსპლიციის მიერ (ხელ. დ. თუშაბრამიშვილი). ითხრებოდა და ისტავლებოდა მის მიერვე 1958-1967 წწში. გათხრილია თოთქმის ბოლომდე. გარკვეული სახის სამუშაოები ჩატარდა ჩვენი ხელმძღვანელობით 1998-1999 წწ-ში.

გათხრების პროცესში მიღებულია ერთი გენერალური, გრძივი და რვა განივი ჭრილი. ძეგლზე მოღიანად დაფიქსირებულია 4,7 მ-ის სიმძლავრის 17 ლითოლოგიური ფენა. მათგან დ. თუშაბრამიშვილს ფენები II-VI, VII, VIII და XI გაერთიანებული ჰქონდა I შეუ პალეოლიტურ ფენად, ხოლო ფენები IX-X, XI-ს ქვედა ჰორიზონტი და XII-XIV II შეუ პალეოლიტურ ფენად. ამ კულტურულ ფენებს შორის 1 მ-ის სტერილური ფენაა. თავიდან დ. თუშაბრამიშვილს გამოყოფილი ჰქონდა სამი კულტურული ფენა, უფრო სწორად, II კულტურულ ფენაში დაფიქსირებული ჰქონდა ორი ჰორიზონტი<sup>16</sup>, მაგრამ შემდგომში ისინი კვლავ ერთ კულტურად გააერთიანა<sup>17</sup> (იდ. 2,3).

ჩვენ საველე დავთორების მონაცემების, მასალის აღმოჩენის სიღრმეების მიხედვით კვლავ გამოვავით III კულტურული ფენა-XII-XIII შრეგბი და XIV ფენის ქვედა შრე (შეიძლება ვიხმაროთ მეორე ფენის მეორე „ჰორიზონტი“), რომლის ინვენტარი შედარებით არქაულ ნიშნებთან ერთად (დარტყმის მოედნების ნაკლებად დამუშავება, ნამზადთა დიდი ზომები, რეტუშის სახე) ნედლეულითაც გამოირჩევა. თუ ზედა ფენებში მასალა ძირითადად დამზადებულია თურონ-სენონის იარუსის კაუზე, აქ ხშირად გამოყენებუ-



4. წონას მდვიმე. ქვის ფილა ჯერის გამოსახულებით. შეუ პალეოლიტი.

ლია არგილიტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ, როგორც ცნობილია, ნედლეულის სახეზე ბევრად არის დამოკიდებული ინვენტარის ზომა და ფორმა.

ჯრუჭულას მდვიმეში თავის დროზე ჩატარებული იყო პალეონტოლოგიური და პალინოლოგიური სამუშაოები. კერძოდ, მდვიმის ფაუნა შეისწავლა პროფ. ა. ვეპუამ. დაღვინდა, რომ ქვედა შეუ პალეოლიტურ ფენებში სჭარბობს მდვიმური დათვის ნაშთები. ამავე ფენებშია აღმოჩენილი მერკის მარტორქის კბილები, რომელიც, ზოგადად, ფაუნის შედარებით არქაულ ფორმას წარმოადგენს. I კულტურულ ფენაში ჩლიქოსნების ნაშთები სჭარბობს<sup>18</sup>.

პალინოლოგიური მონაცემები შესწავლილია 6. მამაცაშვილის მიერ. ფენებიდან აღებული 11 ანალიზი, ძირითადად, ზომიერად თბილი და ტენიანი კლიმატის არსებობას მოწმობს<sup>19</sup>.

მდვიმეში არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია კერებით, ნაკერალი შრეებით, წარმოებისა და სამზარეულო გადანაყარითა და ქვის იარაღებით.

I ფენის ჩამოყალიბების პროცესში წყლის მოქმედებამ განაპირობა მდვიმეში ადამიანის მხოლოდ მცირე ხნით ცხოვრება. მასთანაა დაკავშირებული მასალის შედარებით მცირე რაოდენობა და მისი შერჩევითი ხასიათი.

აღნიშნულ ფენაში სულ 1528 ნივთია აღმოჩენილი. მათგან 65% შეადგენს იარაღს. ნედლეულად ძირითადად გამოყენებულია მაღალი ხარისხის კაჟი. ტექნიკური მონაცემები შემდეგნაირია – II (ლევალუას ტექნიკური ინდექსი) = 60,4; IIam=68,5 (ლამელების ინდექსი); ფაცეტირება-62,5 (large) და 30 (strict). შესაბამისად, ინდუსტრიალევალუაური, ფაცეტირებული, ლამელარულია. ნამზადებიდან სჭარბობს ლამელები და ლამელისებური ანატაქცები, რომლებიც ძირითადად წვეტიანი ან ძალიან წაგრძელებულია. იარაღებში წამყვანი ადგილი უკავია წვეტანებს. ხშირია ნახევრად ორმხრივი მეორადი დამუშავება, რაც ფენის ინდუსტრიას განსაკუთრებულ სახეს

სძენს.

II კულტურული ფენის სიმძლავრე, ჩვენი აზრით, (დავთორებისა და მასალის მიხედვით), 50 სმია. ინდუსტრია მოიცავს 1527 ნივთს, მათგან 70% წარმოების გადანაყარია. იარაღების წამყვანი ფორმაა სახოკი, რაც მოწმობს ადამიანის აქცენტორების სულ სხვა სასიათს. ტექნიკური ინდექსები შემდეგნაირია:  $IL=36,5$ ;  $Ham=41,2$ ;  $IF(large)=38,8$ ;  $IF(strict)=18,8$ <sup>20</sup>. აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს ლევალუაურ, ლამელარულ მაგრამ არაფაცეტირებულ ინდუსტრიას. ამ ფენაში მასალა შედარებით უფრო მოკლე ანატკცებზეა დამზადებული, ვიდრე ზედა ფენაში. წარმოების ნაშთების დიდი ნაწილი თავმოყრილია კერის მიდამოებში, რომლის სიმძლავრე 10-12 სმია. ფენის სიმძლავრე და წარმოების ნაშთები მიგვითოთებს იმ გარემოებაზე, რომ ჩვენ აქ საჭმე გვაქვს მუდმივ სადგომთან, რითიც აღნიშნული ფენა მნიშვნელოვნად განსხვავდება ზედა ფენისაგან, რომელიც, როგორც იარაღთა შემაღენლობიდან ჩანს, წარმოადგენდა მონადირეთა დროებით სადგომს<sup>21</sup>.

ჩვენ მიერ გამოყოფილ III კულტურულ ფენაში დადგენილია 752 ნივთი. დაუმუშავებელი ანატკც-ლამელების რაოდენობა გაცილებით მეტია იარაღებთან შედარებით. იარაღთაგან წამყვანი ფორმებია სახოკები, წვეტანები და დანები. აღსანიშნავია, რომ ნედლეულად მეტად ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია არგილიტი, რაც განაპირობებს იარაღის ფორმასაც და ზომებსაც (ზომებით, მასიურობით III ფენის მასალა სჭარბობს ზედა ორი ფენისას) (ტაბ. IX, XII, სურ.1).

რაც შეეხება ლევალუას, II და III ფენებში, განსაკუთრებით კი III-ში ლევალუას მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ზედა ფენებში

დ. თუშაბრამიშვილი ჯრუქულის მდვიმეს ათარიღებდა გვიანი და ფინალური შეუადგენერაციაზე<sup>22</sup>. მიმდინარე, 2001 წლის საველე გათხრების დროს, ჩვენი უცხოელი კოლეგების დახმარებით, კერძოდ, ქ-ნ ლილიან მეინენის და ბ-ნ ნორბერ მერსიეს (საფრანგეთი) მიერ ჯრუქულის სხვადასხვა ფენაში ჩადებული იქნა დოზიტეტრები სხვადასხვა მეთოდით (TL, ESR) დასათარიღებლად, რომელთა ანალიზების შედეგები, სავარაუდო, მიღებული იქნება მომავალი წლისათვის. ეს თარიღები, სხვა ძეგლებზე (ორთვალა კლდე, ბრინჯაოს მდვიმე) მიღებულ თარიღებთან ერთად მოგვცემს შედარებით ნათელ სურათს, როგორც ლევალუას, ასევე, მთლიანად შეუადგენლითის ასაკსა და მისი საქართველოში წარმოშობის შესახებ.

იმავე ჯრუქულის ხეობაში, ასევე მის მარჯვენა ნაპირზე, მდინარის დონიდან 33-35 მ-ის სიმაღლეზე, ჯრუქულის მდვიმიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით მდებარეობს სამგლე კლდე.

ძეგლი აღმოჩენილია 1962 წ. დ. თუშაბრამიშვილის მიერ და მის მიერვე ითხერებოდა 1963-1967 წწ.-ში. 80-იან წლები უშუალოდ ჩვენი მონაწილეობით განხორციელდა მცირე მოცულობის სამუშაოები, რომლის დროსაც დავაზუსტე სტრატიგრაფია. ადრე გამოყოფილი ორი შეუადგენლითური ფენის მაგივრად<sup>23</sup> გამოვყავით ოთხი (6 ლითოლოგიური) ფენა. ამ ფენებში ადრე აღმოჩენილი მასალა გამოვყავით ერთმანეთისაგან<sup>24</sup>.

სამგლე კლდის შეუადგენლითური ხანის მასალა (137 ნივთი), როგორც ტექნიკური, ისე ტიპოლოგიური პარამეტრებით, მეტ-ნაკლებად ემსაგესება ჯრუქულის II და III ფენის მასალას. (ტაბ. V). აღსანიშნავია არგილიტისა და ანდეზიტის ნივთების შედარებით დიდი რაოდენობაც. საინტერესოა ფენებში ჩოპერისა და ბიფასების არსებობაც, რაც შეიძლება მასალის არქაულობაზე მიგვითოთებდეს. აღსანიშნავია, რომ ძეგლზე უნიპოლარული, ლევალუაური ნივთების გარდა, გვხვდება რადიალური ტექნიკით დამუშავებული ლევალუაური ნაკეთობებიც.

სამგლე კლდის ფაუნა, ისევე როგორც ჯრუქულის მდვიმისა, შეისწავლა ა. ვეკუამ. ძეგლზე ყველაზე მრავლად წარმოდგენილია მდვიმური დათვის ნაშთები. აღსანიშნავია ფენებში ისეთი ფორმის არსებობა, როგორიც არის გიგანტური ირემი<sup>25</sup>. იგი საქართველოს ფაუნისათვის იშვიათ, ხოლო ზოგადად, შედარებით არქაულ ფორმას წარმოადგენს. იგი ზედა პლეისტოცენში (120 000) ადარ ჩანს. სამწუხაროდ, არ არის შესწავლილი მდვიმის პალინოლოგია.

მასალის სიმცირე გვიჩვენებს, რომ სამგლე კლდე დროებით სადგომს წარმოადგენდა.

შეაღიეროს მდვიმე მდებარეობს ჭიათურის რნის სოფ. იოხვისის ტერიტორიაზე, შვალიერის დელის (მდ. ყვირილის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, დელისა და ყვირილის შესაყართან.

მდვიმეში დადგენილია 6 ლითოლოგიური ფენა. მათგან მე-3 და მე-4 ფენები შეიცავს შეუადგენლითურ მასალას.

არქეოლოგიური თვალსაზრისით შვალიერის მდვიმე მეტად დარიბია – შეუადგენლითურ ფენებში სულ აღმოჩენილია 22 ნივთი. მათგან 9 ნივთი ლევალუაურია, რომელთაგან 5 უნიპოლარული ტექნიკით არის დამუშავებული. ძეგლზე მოპოვებულია უნიპოლარული, „სპეციალური“ ლამელაც (ტაბ. VI, სურ.2). ერთი ანატკეცი დიდია და წარმოადგენს „ხაზოვანი ლევალუას“ მეთოდით მიღებულ ნამზადს. ხოლო ორი ცალი „პერიოდული, ცენტრისკენული“ დამუშავების შედეგია<sup>26</sup>.

ფაუნის მრავალფეროვნებით შვალიერის მდვიმე წარმოადგენს შეუადგენლითის ხანის ერთ-ერთ უმდიდრეს ძეგლს. აქ დადგენილ ფორ-

მებს შორის არის გიგანტური ირემი. ეს ფაქტი ზრდის ძეგლისადმი ინტერესს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ხვირათის ღია სადგომი. სამწუხაროდ, ეს ძეგლი არასტრატიფიცირებულია. მასალა თითქმის ჯრუჭულის ინდუსტრიის იდენტურია.

უკირილის სათავეებთან (ჯავის რ-ში) მდებარეობს მდვიმები – წონა, კუდარო I, III. აღსანიშნავია მათი პიფსომეტრია – წონა – 2100 მ, კუდარო – 1600 მ. სამივე მდვიმის ინდუსტრია ჯრუჭულის პირველი ფენის ანალოგიურია (ტაბ. XII, სურ.2). მათ შორის არის, რა თქმა უნდა, გარკვეული სახის განსხვავებებიც, მაგრამ ეს აისხება ძეგლების ხასიათით – ჯრუჭულა-I წარმოადგენს მონადირეთა უფრო ხანგრძლივ სადგომს, კუდარო - სეზონურს, ხოლო წონა – მხოლოდ დროებით თავშესაფარს. ჩვენთვის საინტერესო ტექნიკური მაჩვენებლები ამ ძეგლებიდან ასე გამოიყერება: წონა-II-64,2; IIam-64,2. კუდაროI-II-62,2; IIam-74,4<sup>27</sup>

რაც შეეხება ცხინვალის ჯგუფის ძეგლებს, აქაც გაბატონებულია ლეგალური ატაკევა. (ტაბ. X). ლეგალუს ტექნიკური ინდუსტრიულუაუზე 41,6-ია; თამარაშენზე - 37,7. ძალიან მაღალია ლამელების მაჩვენებელი – ყარყუსტაყუზე – 36,7; თამარაშენზე – 38,2 და კუსრეთის სადგომზე – 38,2<sup>28</sup>. აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლებზე აღმოჩენილია ჩოპერები, ბიფასი, ქინას და ნახვარქინას ტიპის სახოკებიც.

სამწუხაროდ, სტრატიგრაფიისა და თარიღების უქონლობის გამო, ცხინვალის ჯგუფის ძეგლების ზუსტი რაობა და ადგილი პალეოლიტურ ძეგლებს შორის ჩვენთვის უცნობია. ამას გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ ნედლეულად აქ გამოყენებულია უკირილის აუზის ძეგლებისაგან (თურონ-სენომანის იარუსის მაღალხარისხოვანი კაუ) სრულიად განსხვავებული ქანები - ანდეზიტები, ქვიშაქები, ფიქალი და სხვ. როგორც ცნობილია, ნედლეულის სახე კი ხშირად განსაზღვრავს ინდუსტრიის სახეს. საერთო იერით ცხინვალის ინდუსტრია შედარებით არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს.

როგორც ზემოთ რამდენჯერმე აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით არ გაგვაჩინა ჩვენთვის საინტერესო ძეგლების აბსოლუტური თარიღები, რის გამოც თარიღების შესახებ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას მხოლოდ შედარებითი მეთოდი გვაძლევს.

მასალების ხელახლი შესწავლა საფუძველს გვაძლევს ვითიქროთ, რომ უკირილს აუზის ლეგალუს ინდუსტრიებში სჭარბობს ქვის გაპობის უნიკოლარული ტექნიკა. ლეგალუს სათავეს იღებს ჯერ კიდევ აშელის (სავარაუდოდ, შუა) ეპოქაში, იგი მეტად ვითარდება გვიან აშელში. ამ პერიოდისა და, სავარაუდოდ, აღრე მუსტიეს

ძეგლებზე დომინირებს ე.წ. „სპეციალური“ ლამელები და სხვა უნიკოლარული ნამზადები. უკრო მოგვიანო ფენებში (მდვიმების ზედა ფენებში) სჭარბობს ფაცეტირებული, „უანდარმის ქუდიანი“ დარტყმის მოედნებიანი, კლასიკური ლამელები. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, კველგან (განსაკუთრებით ზედა ფენებში) საქმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი „პერიოდული“, „რადიალური“ მეთოდით დამუშავებული ნამზადები.

ქვის პირველადი დამუშავების ტექნიკით საქართველოს ლეგალური ინდუსტრიები ყველაზე ახლოს ლეგანტის ძეგლებთან დგას, ეს განსაკუთრებით ითქმის ტაბუნი-D ტიპის ძეგლებზე, რომელთათვისაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამახასიათებელია უნიკოლარული მეთოდით დამუშავებული წაგრძელებული ლამელები, წვეტანები. იარაღებიდან კი წამყვანი ადგილი უკავია სახოკებს, წაგრძელებულ, რეტუშირებულ წვეტანებს და საჭრისებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჩვენს ძეგლებზე უფრო მეტად გვხვდება რადიალური ატაკევა, ფაცეტირებული ნივთების მაჩვენებელი ასევე უფრო მაღალია (განსაკუთრებით გვიანდელ ფენებში), ვიდრე ლეგანტის ძეგლებზე. საქართველოს სტრატიგიცირებულ ძეგლებზე (მდვიმურ სადგომებში) პროცენტულად გაცილებით მეტი რაოდენობით გვხვდება რეტუშირებული ფორმები (ტაბ. IV, XI, სურ.1), ვიდრე ეს ლეგანტის ქვეყნებშია. ჯრუჭულა-კუდაროს ჯგუფის ძეგლებისათვის დამახასიათებელია ნამზადის ნახევრადორმერივი დამუშავება (ტაბ. XI, სურ.2), რაც ლეგანტისათვის თითქმის არ არის ცნობილი. ამის გარდა, საქართველოს ლეგალური ინდუსტრიებში ერთ ფენაში შეიძლება შეგვევდეს ტაბუნის სამივე ჯგუფის ნიშნები. მაგ., შესაძლებელია ერთ ფენაში აღმოჩნდეს, ერთი მხრივ, რადიალური, „საზოვანი“ მეთოდით მიღებული, ოვალური ანატკეცი, მეორე მხრივ, მოკლე, თხელი, „უანდარმის ქუდიანი“ დარტყმის მოედნიანი ანატკეცი და მათთან ერთად დიდი რაოდენობით უნიკოლარული ნამზადები და „სპეციალური“ ლამელები.

როგორც ლეგანტის მაგალითზე ვნახეთ, ლამელარული და ლეგალური ტექნიკა სულაც არ არის მანიშნებელი ინდუსტრიის გვიანდელი ასაკისა, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული.

როგორც აღვნიშნეთ, ჯერჯერობით არ გაგვაჩინა ლეგალუს ინდუსტრიის ძეგლების აბსოლუტური თარიღები (გარდა კუდაროს მდვიმისა-მეტა ფენა რადიონახშირბადული მეთოდით თარიღდება 44150 წლით.<sup>29</sup> ვფიქრობთ, რომ საჭროა ამ ძეგლის ახალი, თანამედროვე მეთოდებით ხელახლი დათარიღდება). ამის გამო, ვარაუდის გამოთქმის საშუალებას მხოლოდ შედარებითი მეთოდი გვაძლევს. ვფიქრობთ, რომ თუ გავთვალისწინებთ ზემოთ აღნიშნული მასალების

(განსაკუთრებით დია სადგომებისა და მღვიმეების ქვედა უცნებს) მეტად დიდ მსგავსებას ლეგანტის ძეგლებთან, საქართველოს ლეგალუაური ინდუსტრიების უმეტესობის საორიენტაციო ასაკად უნდა მივიჩნიოთ გვიანი აშელი (დახლოებით 400-350 000 წ-დან და ადრე (250000 წ-დან) და განვითარებული შეუა პალეოლითი, ზოგადად კი, შეუა პლეისტოცენი (120000 წ-მდე)<sup>30</sup>. ამ მოსახურებას გვიდასტურებს ფაუნის იმ სახეობების ნაშთები, რომლებიც შედარებით არქაულ ფორმებს წარმოადგენენ – მარტორქა Merki, გიგანტური ირემი და სხვ. შედარებით გვიანდელი უნდა იყოს ჯრუჭულის პირველი ფენა. ვიმედოვნებოთ, რომ ახლო მომავალში ზოგიერთი ძეგლიდან – ჯრუჭულიდან და შესაძლებელია, სამგლე კლდიდან – გვერდებს აბსოლუტური თარიღები. უკვე მეხუთე წელია საველე სამუშაოებს ვატარებოთ პარვარდის უნივერსიტეტის (აშშ), პიბრიუს უნივერსიტეტის (ისრაელი), საფრანგეთის პრეისტორიის კვლევის ცენტრისა და, აგრეთვე, სხვა ქვენების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ჯრუჭულის სხვადასხვა ფენაში, აგრეთვე, ბრინჯაოს მდვიმეში უცხოელი კოლეგების მიერ ჩადებული იქნა დოზიმეტრები სხვადასხვა მეთოდით (TL, ESR) თარიღის მისაღებად, რომლებსაც უახლოეს მომავალში ველოდებით. ამ მეთოდებით დავიწყეთ ჭიათურის რ-ში არსებული, სხვა კულტურის ძეგლის, ორთვალა კლდის დათარიღებაც. მიღებული გვაქს გარკვეული თარიღები. ეს ძეგლი (შესაძლებელია, მთლიანად ეს კულტურა) უფრო ახალგაზრდა ჩანს, მაგრამ ეს ცალკე კვლევის საგანია და ამ სტატიაში მას არ შევეხებით.

ლეგანტსა და კავკასიის ამ რეგიონს შემოთ აღნიშნული მსგავსება, ჩვენი აზრით, გამოწეული უნდა ყოფილიყო, როგორც ორივე რეგიონში ამ სახის ლეგალუას იდეის არსებობით, ასევე იმ კონტაქტებით, რომელიც არსებობდა მათ შორის. ადამიანთა ჯგუფების მიგრაციები ხდებოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ სწორედ ლეგანტის დერეფნის გავლით. ამის შედეგად ხდებოდა ახალი კულტურული ელემენტების იმპორტი, რომელიც ადგილობრივ ნიშნებს ჯაჭვებიდა და შედეგად იმნებოდა ადგილობრივი, ლოკალური კულტურები, რომლებიც მიუხედავად მსგავსებისა, მაინც თავისი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდებოდა. ჩვენს შემთხვევაში ასეთი სპეციფიკური, ლოკალური კულტურა შეიქმნა ყვირილას აუზსა და, დაახლოებით მისივე მსგავსი ლოკალური კულტურა, მიმდებარე ცხინვალის რეგიონში. ვვარაუდობთ, რომ ლეგალუას ინდუსტრიის მატარებელი ადამიანების პირველი ტალღა კავკასიაში გამოჩნდა აშელის (შეუა, გვიანი?) დროს, შემგომი განვითარება კი მოხდა უკვე ადგილზე, ადგილობრივ კულტურულ ელემენტებთან




შერწყმის საფუძველზე და ამის შედეგად შეუა პალეოლითში იქმნება ისეთი ლოკალური კულტურები, როგორიცაა ჯრუჭულა-კუდაროსა და ცხინვალის შეუა პალეოლითური კულტურები.

ცალკე აღნიშნების დირსია ის ფაქტი, რომ ჯრუჭულას მდგიმის მეორე ფენაში აღმოჩენილია ნეანდერტალელის (სავარაუდო) კბილი (პირველი ზედა მოლარი)<sup>31</sup>. სამწუხაროდ, ერთი კბილით ძალიან მნელია სახეობის ზუსტად დაგენერა, რის გამოც ეს დასკვნა ძალიან ზოგად ხასიათს იღებს.


ზემოთ აღნიშნულის გამო იბადება კიდევ ერთი კითხვა - ვის ეკუთვნის და რას წარმოადგენს მცირე ფორმის ქანდაკება, რომელიც ჯრუჭულას მეორე ფენაშია აღმოჩენილი და ქვის ფილა ჯვრის გამოსახულებით, რომელიც წონას მდგიმის შეუა პალეოლითური ფენიდანაა (ილ. 4). მსგავსი ნივთები არ არის დადგენილი ჩვენთვის ცნობილ არც ერთ ძეგლზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ ჯვრის გამოსახულებიანი ქვის ნივთის რეალური კუთვნილება შეუა პალეოლითისადმი შეიძლება ეჭვეჭვეშ დავაუენოთ წონას მდგიმის მრავალფენოვნების გამო (შესაძლებელია, იგი მოხვედრილია მოგვიანო, მეზოლითური ფენიდან, რაც ნივთისადმი ინტერესს მაინც ვერაფერს აკლებს), ჯრუჭულაში მხოლოდ შეუა პალეოლითური ფენებია წარმოდგენილი და ეს ქანდაკება თუ აქერთხო ამ ქპოქისა უნდა იყოს. ჩვენი ვარაუდით, ჯრუჭულას ქანდაკება ან რაიმე ზორმორულ გამოსახულებიან (ჯიხვი, თუ სპილო?) ამჟღვების, ან კვერთხის ნატებს უნდა წარმოადგენდეს. უნდა აღინიშნოს, რომ იგი გაცვეთილია, ეტყობა ხელში ხშირი ჭერის, ან საკიდით (?) გულზე ტარების შედეგად. რაც შეეხება ჯვრის გამოსახულებას, მას ალბათ რაღაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

ზემოთ აღნიშნულ ორივე ნივთს ახასიათებს ერთი საერთო ნიშანი. ჩვენი აზრით, ორივე ნივთი წარმოადგენს ხელოვნების მცირე ფორმის ნიმუშს, რომლის შექმნა დაიწყო ბუნებაშ და დასარულა ადამიანმა, კერძოდ, ქანდაკებაზე ნახვრეტის კეთება დაწყებულია წყლის (წვეთის) მოქმედებით, ხოლო ადამიანმა იგი გააფართოვა და დასარულებული სახე მისცა. ხოლო ქვის ფილას თავიდანვე, ბუნებრივივად ჰქონდა ჯვარედინი მკრთალი დარები, ადამიანმა კი იგი შემდგომში ხელოვნურად გააღრმავა ნაკაწრებით და მისცა სიმბოლური დატვირთვა.


იმედი გვაქს, მომავალი კვლევა და ჩატარებული ანალიზების შედეგები უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს საქართველოს ლეგალუაური ინდუსტრიების კვლევის საკითხში და ზუსტ პასუხს გაგვცემს, თუ ვინ იყვნენ ლეგალუას კულტურის მატარებელი ადამიანები და რა როლი ითამაშეს თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში.




გაბ. I




გაბ. II




გაბ. III




გაბ. I




გაბ. IV




♂δδ. V



♂δδ. VI



logh.1



♂δδ. VII

გენეზისი:

1. Mortillet, G. de. 1883. *Le Préhistorique: Antiquité de l'Homme*. Paris, pp. 240, 255.
2. Bordes, F. 1961. *Typologie du Paléolithique Ancien et Moyen*. Bordeaux: Delmas. Publications de l'Institut de Préhistoire de l'Université de Bordeaux, Memoire 1. p. 14.
3. Bordes, F. 1980. Le débitage Levallois et ses variantes. *Bulletin de la Société Préhistorique Française*. pp. 45-49
4. Boëda, E. 1988. Le concept Levallois et évaluation de son champ d'application. *L'Homme de Néandertal*, Vol.4: La Technique. Liège: Etudes et Recherches Archéologiques de l'Université de Liège, pp. 13-26.
5. Boëda, E. გახს. ნაშრ.
6. Boëda, E. გახს. ნაშრ.
7. Bradley, B. Experimental Lithic Technology with Special Reference to the Middle Paleolithic. PhD dissertation, University of Cambridge. In : the Neanderthal Legacy (Paul Mellars), New Jersey, 1996.
8. Boëda E. გახს. ნაშრ.
9. Boëda E. გახს. ნაშრ.
10. Bordes F., 1950. Principes d'une méthode d'étude des techniques de débitage et de la typologie du paléolithique ancien et moyen. *L'Anthropologie*, t.54, n.1-2. pp.19-34.
11. Neuville, R. 1951. *Le Paléolithique et le Mésolithique de Désert de Judée*. Paris: Masson: Gordon, D. 1993. Musterian tool selection, reduction, and discard at Ghar. *Israel Journal of Field Archaeology* 20: 205-18; Meignen, L. 1994. *Le Paléolithique moyen au Proche-Orient: Le phénomène laminaire*, 125-59. Les Industries Laminaires au Paléolithique Moyen, ed. S.Révillion and A.Tuffreau. Paris: CNRS Editions; Meignen, L. 1995. Levallois lithic production systems in the Middle Paleolithic of the Near East: The case of the unidirectional method, 361-80. In *The Definition and Interpretation of Levallois Technology*, ed. H.Dibble and O. Bar-Yosef. Madison: Prehistory Press; Crew, H.L. 1976. The Mousterian site of Rosh Ein Mor, 75-112. *Prehistory and Paleoenvironment in the Central Negev (Israel)*, Vol. 1, The Avdat/Aqev Area, Part 1, ed. A.E.Marks. Dallas: SMU Press.; Marks, A. and Monigal K. 1995. Modeling the production of elongated blanks from the Early Levantine Mousterian at Rosh Ein Mor, 267-78. *The Definition and Interpretation of Levallois Technology*, ed. H.Dibble and O. Bar-Yosef. Madison: Prehistory Press.; Meignen, L. 1998. *Hayonim Cave Lithic Assemblages in the Context of the Near Eastern Middle Paleolithic: A Preliminary Report*; Solecki, R.L., and Solecki R.S. 1995. *The Mousterian Industries of Yabrud Shelter I: A reconsideration*, 381-98. In *The Paleolithic Prehistory of the Zagros-Taurus*, ed. D.I. Olszewski and H.L. Dibble. Philadelphia: The University Museum of the University of Pennsylvania.; Schroeder, B. 1969. *The Lithic Industries from Jefr Aila and their Bearing on the Problem of the Middle to Upper Paleolithic Transition*. Ph. D.diss. Columbia University. New York.; Akazawa, T. 1979. *Middle Paleolithic assemblages from Duara Cave*. *Bulletin of the Museum of the University of Tokyo* 16: 1-30.; Nishaki, Y. 1989. Early blade industries in the Levant: The placement of Duara IV industry in the context of the Levantine Early Middle Paleolithic. *Paléorient* 15: 215-29.; Copeland, L., and F.Hovers. 1983. *Le Yabroudien d'El Kown (Syrie) et sa place dans le Paléolithique du Levant*. *Paléorient* 9:21-37.; Boëda, E., and S. Muhsen. 1993. *Umm El Tlel (El Kown,Syrie): Etude préliminaire des industries lithiques du Paléolithique moyen et supérieur 1991-1992*. *Cahiers de l'Euphrate* 7: 47-91. In: *Neandertal and Modern Humans in Western Asia* (Ed. T. Akazawa, K.Aoki, O.Bar-Yosef). New-York.;
12. Boutié, P. 1989. Etude technologique de l'industrie Mustérienne de la grotte Qafzeh (près de Nazareth, Israel), 213-29. *Investigations in South Levantine Prehistory: Préhistoire du Sud-Levant*, ed. Bar-Yosef and B. Vandemeersch. Oxford: British Archaeological Reports International Series 497.; Hovers, E. 1997. Variability of Levantine Mousterian Assemblages and Settlement Patterns: Implications for the Development of Human Behavior. Ph.D.diss. Hebrew University. Jerusalem.; Fleisch, S.J. 1970. *Les habitats du paléolithique moyen à Naamé (Liban)*. *Bulletin du Musée Beyrouth* 23: 25-98.
13. Meignen 1995. dasax. naSr.; Copeland,L. 1975. *The Middle and Upper Palaeolithic if Lebanon and Syria in the light of recent research*, 317-50. *Problems in Prehistory: North Africa and the Levant*, ed. F. Wendorf and A. E. Marks. Dallas: SMU Press.; Copeland, L. 1983. *The Palaeolithic industries at Adlun*, 89-366. *Adlun in the Stone Age: The Excavations of D.A.E. Garrod in the Lebanon, 1958-1963*, ed. D. Roe. Oxford: British Archaeological Reports International Series 159.; Ronen, A. 1984. *Sefunim Prehistoric Sites, Mount Carmel, Israel*. Oxford: British Archaeological Reports International Series 230.; Neuville,1951. dasax. naSr.; Akazawa, T., S. Muhsen, Y. Dodo, O.Kondo, , S. Muhsen, Y. Dodo, O.Kondo, . Mizoguchi, Y. Abe, Y. Nishaki, S. Ohta, T. Oguchi, and J. Haydal. 1995. Neanderthal infant burial from the Dederyeh Cave in Syria. *Paléorient* 21: 77-86.; Hovers, E., Y. Rak, and W.Kimbel. 1991. Amud Cave-1991 season. *Journal of the Israel Prehistoric Society* 24: 152-7; Meignen, L., and O. Bar-Yosef. 1991. *Les outillage lithiques moustériens de Kébara*, 49-76. *Le Squelette Mousterienne de*

- Kebara 2, ed. O. Bar-Yosef and B. Vandermeersch. Paris: CNRS Edition.; Henri, D. O. 1995. Prehistoric Cultural Ecology and Evolution. New York: Plenum Press.
14. Mercier, N., H. Valladas, G. Valladas, J.L. Reyss, A. Jelinek, L. Meignen, and J.L. Joron. 1995. TL dates of burnt flints from Jelinek's excavations at Tabun and their implications. *Journal of Archaeological Science* 22: 495-510.
  - Bar-Yosef ,O. 1998. Cronology of the Middle Paleolithic of the Levant. In: Neandertals and Modern Humans in Western Asia.(Ed. T.Akazava, K.Aoki, O.Bar-Yosef). New-York. P.44-48.
  15. მნიორაძე, ძველი ქვის ხანის მდვიმე-ნამოსახლარები წყალწითელას ხეობაში, ობილისი. 1992. გვ.112-207.
  16. ღ.თუშაბრამიშვილი, ჯრუჭულის ხეობის გამოქვაბულები, საქართველოს მდვიმები და გამოქვაბულები, I, თბ.,1963, გვ. 167-182.
  17. დ. ტუშაბრამიშვილი. Развитие культуры, в кн.-Грузия в антропогене. ТБ.1991. 448.
  18. ღ.თუშაბრამიშვილი, უვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციები, თბ., 1969.
  19. Н.Мамацашвили. Палеолитическое изучение пещерных отложений-ИЛК-1978. стр.84.
  20. ღ. თუშაბრამიშვილი, ჯრუჭულის ხეობის გამოქვაბულები. გვ.53.
  21. ღ.თუშაბრამიშვილი, ჯრუჭულის ხეობის გამოქვაბულები., მისივე, უვირილის ხეობის.. .
  22. ნ.თუშაბრამიშვილი, დასავლეთ საქართველოს რამდენიმე შეა პალეოლიტური ძეგლის ხელახლი დათარიღებისათვის. ძეგლის მემკბარი, 3 (110). თბ. 2000. გვ. 13-18.
  23. Н.Тушабрамишвили. Палеолитическая стоянка Самгле Клде. Палеолит Кавказа и сопредельных территорий. Тб. 1990. с. 51-54.
  24. Н.Тушабрамишвили. დასახ. ნაშრ.
  25. ნ. თუშაბრამიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ.17.
  26. В.П.Любин. Мустьерские культуры Кавказа. Л. 1977. с.13-66.
  27. В.П.Любин. Мустьерские культуры Кавказа. Л. 1977. с.96-142.
  28. В.П.Любин. Мустьерские культуры Кавказа. Л. 1977. с.28.
  29. O.Bar-Yosef, A.Belfer-Cohen, T.Meshveliani, D.Lordkipanidze and N. Tushabramishvili. Paleolithic Research in Western Transcaucasia, the Republic of Georgia, Harvard University, 1998. სამუშაო თეზისები.
  30. Габуния Л.К., Тушабрамишвили Д.М., Веку А.К. Первая находка остатков мустьерского человека на Кавказе. ВА. 1961. Вып.8. с.161.

**Nikoloz Tushabramishvili**  
Georgian State Museum

### THE LEVALLOIS-DOMINATED INDUSTRIES OF GEORGIA

The varied habitats of Georgia, located adjacent the Black Sea, provided reliable, predictable and relatively easily accessible animal and vegetal food resources even under Glacial climatic conditions. Abundant natural shelters and good raw material (e.g. radiolarite, flint) enabled Middle Paleolithic knappers to easily procure material to produce stone tools.

The reconstruction of the paleoenvironment and cultural history in this particular region holds great importance. It will assist us in testing hypothesis concerning the dispersals of Neandertals, the cultures and survival strategies of Middle Paleolithic humans.

The five Middle Paleolithic cultural variants are recognized in Georgia. The archaeological evidence demonstrates similarities with the Middle Paleolithic industries of Anatolia, the Zagros region, and the Levant.

Some Late Acheulean and Musterian assemblages characterized by blades and elongated points, as recovered in Djruchula, Koudaro, Tsona, Shvalieti, Samgle Klde and some open sites from Chiatura and Ckhinvali regions, resemble the "Tabun D-type" and Hummalian entities in the Levant.

TL and ESR dates in Tabun and Hayonim caves indicate a time span from 270 ka through 170 ka. We suppose that the resemblance between Levant and mentioned region of Caucasus is a result of the periodically migrations especially from the South to the North. Unfortunately we have not yet the dates from above mentioned sites of Georgia. We suppose that the oldest layers of M.P. sites of Georgia are younger (<150 ka?) than the sites of Levant.

Two very interesting pieces are discovered in the moustrian layers of the Tsona and Djruchula caves. In Tsona is founded the flat shingle (pebble) stone with the cross image. From the II M.P. layer of Djruchula we have the piece of argilite with the image of some of the animal (Capra? Elephant?).